## ხელშეკრულება # 7
## (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. საჩხერე „4 " იანვარი 2016 წ.

### 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ სსიპ ირაკლი ბაზაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. მახათაურის საჯარო სკოლა, მისი დირექტორის ნინო მოდებაძის სახით შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ი.მ. ლიანა აბუთიძე, მის: ქ. საჩხერე, გომართლის ქ. #9, ს.კ. 01001018345 (139412794), შემდგომში „გამყიდველის" სახით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: კარტრიჯის ტონერით შევსება, ფლეშ მეხსიერების ბარათების და კომპიუტერის ნაწილების შეძენა.
CPV კოდი: 50300000; 30200000.

### 3. ანგარიშსწორების პირობები.

3.1 მხარეთა შორის ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით შემსრულებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე.
3.2 ხელშეკრულების თანხა განისაზღვრება 50 ლარით.

### 4. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

4.1 „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „გამყიდველს" შესყიდული საქონლის ან შესრულებული სამუშაოს ღირებულება.
4.2 „გამყიდველი" ვალდებულია ხელშეკრულების 2.1 პუნქტში აღნიშნული პროდუქცია მიაწოდოს „მყიდველს" ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში.

### 5. ფორს-მაჟორი

5.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს მაჟორული გარემოებების შედეგად.
5.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მეორე მხარეს ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მხარისგან წერილობით პასუხს. იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობის და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოსახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისადმი.

### 6. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

6.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ინფორმაცია ერთი კვირით ადრე. ამავე დროს „დამკვეთი" არ არის ვალდებული წარუდგინოს „შემსრულებელს" რაიმე მტკიცებულებები იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
6.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1 ,,მყიდველმა“ და ,,გამყიდველმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირ მოლაპარაკების პროცესში მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა წარმოქმნილი, მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტების ირგვლივ.

7.2 თუკი ასეთი მოლაპარაკების გზით ,,მყიდველი“ და ,,გამყიდველი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დავის გადაწყვეტის მიზნით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

### 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა დაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება, შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 დღის განმავლობაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე. ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

### 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

9.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 4 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის.

### 10. მხარეთა რეკვიზიტები

**,,მყიდველი“**

სსიპ ირაკლი ბაზაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. მახათაურის საჯარო სკოლა,
ს.კ. 239402650
მის: საჩხერე, სოფ. მახათაური
საბანკო რეკვიზიტები: ლიბერთი ბანკის საჩხერის ფილიალი
ანგ. # GE06LB0121124935104000

ნ. მოდებაძე / ნ. მოდებაძე /

**,,გამყიდველი“**

ი.მ. ,,ლიანა აბუთიძე“
ს.კ. 01001018345
ძვ.ს/კ. 139412794
მის: ქ. საჩხერე, გომართლის ქ. #9
საჩხერე, ლიბერთი ბანკი
ანგ: 336010121; GE25LB0112151840211000

/ლ. აბუთიძე/

# მიღება-ჩაბარების აქტი

საჩხერე 20 იანვარი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ი |მეწარმე ლიანა აბუთიძე და მეორეს მხრივ საჩხერის რაიონის სოფელ მახათაურის საჯარო სკოლა, მისი დირექტორის ნინო მოდებაძის სახით ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ მახათაურის საჯარო სკოლამ, შეასრულა 20 ლარის მომსახურება.

ჩააბარა : ლ. აბუთ

ლიანა აბუთიძე

მიიღო; ნ. მოდებაძე

ნინო მოდებაძე

139412784
GEORGIA, I/E "ABUTIDZE LIANA"

# მიღება-ჩაბარების აქტი

საჩხერე 22 აპრილი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ი |მეწარმე ლიანა აბუთიძე და მეორეს მხრივ საჩხერის რაიონის სოფელ მახათაურის საჯარო სკოლა, მისი დირექტორის ნინო მოდებაძის სახით ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ მახათაურის საჯარო სკოლამ შეიძინა მაუსი (ათი) ლარის ღირებულების.

ჩააბარა;

ლიანა აბუთიძე

GEORGIA, P/E "ABUTIDZE LIANA" 139412794

მიიღო ;

ნ.მოდებაძე